განკარგულება:**g-63. 63250292**
თარიღი:**29/01/2025**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის მიერ, 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ,

ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ -ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილების მე-4 მუხლის, მე-4 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის საფუძველზე, მოისმინა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში და

გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. (დანართი N1 შესაბამისად).

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

3. განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის რაიონულ სასამართლოში (მისამართი, ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1) განკარგულების მიღებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი